

საქართველოს თასის გათამაშება Gymkhana-ში 2016



დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ
2016 წელი

ღონისძიების რეგლამენტი

შეჯიბრის ორგანიზატორი შ.პ.ს. „ლეგალ რეისინგ“.

სარჩევი:

1. [ზოგადი ინფორმაცია](#)
2. [მონაწილეობის მიღება](#)
3. [სარბოლო მოედანი](#)
4. [რეგისტრაცია](#)
5. [უსაფრთხოება](#)
6. [მთხოვნები მონაწილისადმი](#)
7. [აკრძალვები](#)
8. [შეჯიბრი](#)
9. [შეჯიბრის შეფასება](#)
10. [დაჯილდოება](#)
11. [დისკვალიფიკაცია](#)
12. [ორგანიზატორის მთავარი პრიზი](#)
13. [სუპერფინალი](#)
14. [შედეგის გასაჩივრება](#)

შეჯიბრის კალენდარი

I ეტაპი - 9 ივლისი - თბილისი

II ეტაპი - 14 აგვისტო - ბათუმი

III ეტაპი - 27 სექტემბერი - სიღნაღი

IV ეტაპი - 30 ოქტომბერი - თბილისი (სუპერფინალი)

1. ზოგადი ინფორმაცია

შეჯიბრის ორგანიზატორი შ.პ.ს. „ლეგალ რეისინგ“, შეჯიბრი ჩატარდება მოცემული რეგლამენტის მიხედვით.

ჯიშხანას სარბოლო ტრასა შედგება სხვადასხვა სირთულის მონაკვეთებისგან. მონაწილეებს (მრბოლელებს) ევალებათ სტარტიდან ფინიშამდე დაძლიონ ზემოთხსენებული მონაკვეთები უმოკლეს დროში წინასწარ დაგეგმილი მარშრუტით. ჯიშხანა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგ ნაირად, სტარტი -> დავალების შესრულება -> ფინიში.

2. მონაწილეობის მიღება

შეჯიბრი ტარდება ავტო მოყვარულთა შორის. მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს ვისაც გააჩნია მართვის მოწმობა და ჰყავს ნებისმიერი მარკის და მოდელის სერიული ან სერიულისგან მოდიფიცირებული ძარის ავტომობილი.

რბოლაში ჩათვლის კლასებია:

- **AWD** ყველაწამყვან თვლიანი
- **RWD** უკანაწამყვან თვლიანი
- **FWD** წინაწამყვან თვლიანი
- **DRIFT** (პროფესიონალური დრიფტისთვის განკუთვნილი ავტომობილები)
- **PRO** (პროფესიონალი მრბოლელი)

AWD, RWD და FWD კლასებში არ დაიშვებიან პროფესიონალური ლიცენზიის მქონე მრბოლელები, ის პირები ვინც ოდესმე ფლობდა ფედერაციის მიერ გაცემული პროფესიონალი მრბოლელის ლიცენზიას ბოლო 3 წლის მანძილზე და ის ავტომობილები, რომლებიც განკუთვნილია DRIFT-ის სახის რბოლებისთვის.

DRIFT და PRO კლასებში გამარჯვებული ვლინდება წლის მიერ დაგროვილი ქულების მიხედვით.

AWD, RWD და FWD კლასებში მონაწილეები ჩათვლას იღებენ კონკრეტულ კლასში. წლის მთავარი პრიზის მფლობელი ვლინდება AWD, RWD და FWD კლასებს შორის სუპერფინალის მეშვეობით.

3. სარბოლო მოედანი

სარბოლო მოედანი შედგება სხვადასხვა დაბრკოლებების მქონე სპეციალური მონაკვეთებისგან. სარბოლო მოედანი უმეტეს წილად არის ასფალტირებული, არასასფალტირებული მონაკვეთი დაიშვება გამონაკლის შემთხვევაში.

4. რეგისტრაცია

შეჯიბრში მონაწილეობის მსურველმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია ორგანიზატორის მიერ დადგენილი წესისამებრ, რომელიც მითითებულია შეჯიბრის დებულებაში.

5. უსაფრთხოება

ყველა კლასის მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს

- ავტომობილი უნდა იყოს ტექნიკურად გამართული.
- ავტომობილი აუცილებლად უნდა იყოს აღჭურვილი უსაფრთხოების ღვედით.
- ავტომობილის ინტერიერში არ უნდა იყოს რაიმე დაუმაგრებელი ნივთი.

- ავტომობილს უნდა ეყენოს ექსტერიერის ყველა აუცილებელი ნაწილი (გარდა DRIFT კლასისა).
- ავტომობილს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გამართული გარე მამუქი მოწყობილობა (გარდა DRIFT და PRO კლასისა).
- დენის წყარო (აკუმულატორი) უნდა იყოს მყარად დამაგრებული.

6. მოთხოვნები მონაწილისადმი

- ყველა მონაწილეს განურჩევლად კლასისა უნდა ეკეთოს უსაფრთხოების ღვედი.
- ყველა მონაწილე ვალდებულია დააკრას შეჯიბრის სპონსორების სტიკერი (თუ მონაწილეს არ სურს სტიკერის დაკვრა, იქნება დაჯარიმებული 100 ლარის ოდენობით.)
- თუ პირმა რბოლაში მონაწილეობის დროს გამოიწვია რაიმე სახის ზიანი (საკუთარ თავს, მაცურებელს, ინვენტარს და ა.შ.), ორგანიზატორი იხსნის პასუხისმგებლობას და ხარჯს ანაზღაურებს მონაწილე.

7. აკრძალვები

- AWD RWD და FWD კლასში აკრძალულია სლიკებით, ნახევრად სლიკებით და ნებისმიერი ტიპის სპორტული საბურავებით გამოსვლა.
- ორგანიზატორების თანხმობის გარეშე აკრძალულია სარბოლო მოედანზე მონაწილის გამოსვლა.
- მონაწილე რომელიც არ დაემორჩილება ორგანიზატორის ნებისმიერ წარმომადგენლის მოთხოვნას იქნება დისკვალიფიცირებული ან გაუუქმდება შედეგი მოცემულ ეპატზე.
- აკრძალულია ერთადგილიანი სპორტული ავტომობილის მონაწილეობა (ლეგენდ ქარი, ფორმულა და ნებისმიერი ღია საბურავებიანი ავტომობილებით).
- აკრძალულია დახურულ პარკში საბურავების გახურება და ავტომობილით ნებისმიერი ტიპი ექსტრემალური ქმედებები.
- აკრძალულია ორგანიზატორების თანხმობის გარეშე შესვლა სარბოლო მოედანზე ან მსაჯთან მისვლა.
- არაფხიზელ მდგომარეობაში მონაწილეობა.
- უსაფრთხოების ღვედის გარეშე მონაწილეობა.
- რბოლის დროს ავტომობილში მგზავრის ყოფნა.
- ისეთი ტიპის მოდიფიკაცია/ დამსუბუქება, რომელიც შეიძლება არღვევდეს ავტომობილის (მარის) უსაფრთხოებას.
- არაკორექტული მოპყრობა მსაჯთა კორპუსისა და მონაწილეთა მიმართ.
- ნებისმიერი ტიპის წესების დარღვევა, ისჯება მონაწილის დისკვალიფიკაციით.

8. შეჯიბრი

მონაწილეს მოუწევს შეასრულოს განსაზღვრული კონკრეტული ფიგურა. ფიგურები იქნება შედგენილი “კონუსებით”, “ზოცებით” და სხვადასხვა ინვენტარით. მონაწილეებს მოუწევთ სხვადასხვა დავალების შესრულება, ყველა მონაწილე გაივლის თითოეულ დავალებას მხოლოდ ერთხელ.

9. შეჯიბრის შეფასება

- I - ადგილი - 5 ქულა
- II - ადგილი - 4.5 ქულა
- III - ადგილი - 4 ქულა
- IV - ადგილი - 3.5 ქულა
- V - ადგილი - 3 ქულა
- VI - ადგილი - 3 ქულა
- VII - ადგილი - 3 ქულა
- VIII - ადგილი - 3 ქულა
 - პირველ რვა საპრიზო ადგილზე ზემოთ შედეგის დაფიქსირების შემთხვევაში, მონაწილეს ენიჭება 2,5 ქულა.
 - იმ შემთხვევაში, თუ პირმა მონაწილეობა მიიღო რომელიმე ეტაპში და გამოტოვა რომელიმე შემდგომი ეტაპი, ავტომატურად ენიჭება 1,5 ქულა, ყოველ გამოტოვებულ ეტაპზე..

10. დაჯილდოება

- I - ადგილი - სიგელი, თასი, მედალი, სპონსორის მიერ დაწესებული პრიზი.
- II - ადგილი - სიგელი, მედალი, სპონსორის მიერ დაწესებული პრიზი.
- III - ადგილი - სიგელი, მედალი, სპონსორის მიერ დაწესებული პრიზი.

11. დისკვალიფიკაცია

- ეს არის სასჯელის უმაღლესი ზომა, რომლის გამოყენების უფლება აქვს ორგანიზატორს.
- დისკვალიფიკაცია შესაძლებელია მიეცეს მონაწილეს, ორგანიზატორის ნებისმიერი ნორმატიული აქტის დარღვევის და მითითებების უგულველყოფისთვის.
- თუ მონაწილე დაარღვევს მითითებულ აკრძალვებს დისკვალიფიცირებული იქნება მოცემულ ეტაპზე.
- მონაწილე რომელიც არ დაემორჩილება ორგანიზატორთა მითითებებს, მიაწოდებს მათ რაიმე მცდარ ინფორმაციას (ავტომობილის მარკისა და მოდელის შეუსაბამისობა, სხვა მრბოლელის გამოსვლა) არ გამოცხადდება სავალდებულო ბრიფინგზე, დაარღვევს რომელიმე მოთხოვნას ან მისი ავტომობილი არ დააკმაყოფილებს ორგანიზატორთა მიერ დადგენილ კრიტერიუმებს (თუ მოგვარება შეუძლებელი იქნება, საბურავები არ აკმაყოფილებს დებულებას, ავტომობილი არ არის ტექნიკურად გამართული) იქნება დისკვალიფიცირებული.

12. ორგანიზატორის მთავარი პრიზი

ორგანიზატორის მთავარი პრიზი არის სარბოლო ავტომობილი HONDA CIVIC. ავტომობილი გადაეცემა მოყვარულთა კლასის AWD, RWD და FWD სუპერფინალში გამარჯვებულს, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სტანდარტებს მრბოლელის ლიცენზიის მიღებასთან დაკავშირებით. ლიცენზიის აღების შემდეგ გამარჯვებული პირი იღებს ვალდებულებას მონაწილეობა მიიღოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის 2017 წლის სპორტული ღონისძიებების

კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ პროფესიონალურ საავტომობილო რბოლებში მოგებული ავტომობილის შესაბამის ჩათვლაში. ავტომობილზე დატანილი იქნება გენერალური სპონსორის ლოგოტიპი 2017 წლის მთელი სარბოლო სეზონის განმავლობაში.

13. სუპერფინალი

სუპერფინალში გადავა პირველი სამი ეტაპის ქულების ჯამით პირველი 8 მონაწილე. AWD, RWD და FWD კლასიდან.

სუპერფინალი იქნება IV ეტაპი, რომელშიც მონაწილეობს AWD, RWD და FWD კლასებოდან საუკეთესო 8 მონაწილე თითოეული კლასიდან (ჯამში 24 მონაწილე), რომლითაც გაირკვევა გამარჯვებული „საქართველოს თასის გათამაშება Gymkhana-ში 2016 წელს“.

თუ კლასში გამსვლელი 8 მონაწილის ქულებში, მოხდა 8 მონაწილის წინა ან შემდგომი ქულების თანხვედრა, სუპერფინალში გადამსვლელი პირების ვინაობა განისაზღვრება წინა ეტაპებზე მეტი პირველი ადგილის, შემდეგ მეტი მეორე ადგილის, შემდეგ მეტი მესამე ადგილის მიხედვით. თუ ასეთი მეთოდით ვერ გამოვლინდა სუპერფინალში გადამსვლელი პირი, დაანგარიშებული იქნება წინა ეტაპებზე შეჯიბრის დროს დაფიქსირებული დროების ჯამით.

14. შედეგის გასაჩივრება

მონაწილეს აქვს უფლება გაასაჩივროს შედეგი, მისი კლასის დასრულების შემდგომ, არაუგვიანეს 30 წუთში, მონაწილეს აქვს უფლება მტკიცებულების სახით წარმოადგინოს ფოტო და ვიდეო მასალა.

ორგანიზატორი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები რეგლამენტში.